

მწვანე საგრანტო პროგრამა

ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტო

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

სოფლის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია სოფლად ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, სოფლის განვითარებისკენ მიმართული მიზნობრივი ღონისძიებები და სექტორში ინცესტიციების მოზიდვა. ამ მიზნით ევროკავშირის (EU) „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის“ (ENPARD) დაფინანსებით და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტო“ (RDA) ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით ახორციელებს „ა(ა)იპ - სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოსა და გაეროს განვითარების პროგრამას (UNDP) შორის 2019 წლის 18 დეკემბერს გაფორმებულ საგრანტო ხელშეკრულებაში - შეთანხმების წერილი გაეროს განვითარების პროგრამასა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ - სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს შორის UNDP - ის დახმარებით საქართველოში სოფლის განვითარების პროექტით (ENPARD III) გათვალისწინებული აქტივობების განსახორციელებლად“ თაობაზე“ შესატანი ცვლილებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 4 აგვისტოს N1336 განკარგულების საფუძველზე მოწონებულ „მწვანე საგრანტო პროგრამას“. მწვანე საგრანტო პროგრამა ხორციელდება ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტოსა და გაეროს განვითარების პროგრამას (UNDP) შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების შესაბამისად, რომლის საფუძველიცაა (ENPARD III) - ით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება:

- სააგენტო - ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტო;
- პოტენციური ბენეფიციარი - საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი ან „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრირებული ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელთანაც შესაძლებელია გაფორმდეს თანადაფინანსების ხელშეკრულება;
- პროგრამის ბენეფიციარი - საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი ან „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრირებული ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელთანაც გაფორმებულია თანადაფინანსების ხელშეკრულება;

დ) ხელშეკრულება - სააგენტოსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული თანადაფინანსების ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის ფარგლებში მხარეთა მიერ შესასრულებელ ვალდებულებებს;

ე) პროგრამა - მწვანე საგრანტო პროგრამა.

მუხლი 3 . პროგრამის მიზანი და ამოცანა

1. პროგრამის მიზანია სოფლად მცხოვრები ოჯახებისა და ბიზნეს სექტორისთვის ენერგოეფექტური და განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიების დანერგვაზე წვდომის გამარტივება.
2. პროგრამის ამოცანაა ენერგიის ხარჯების დაზოგვა, კლიმატის ცვლილებაზე ზემოქმედების შემსუბუქება და ბუნებრივ რესურსებზე (განსაკუთრებით ტყის რესურსზე) ზეწოლის შემცირება

მუხლი 4. პროგრამის განხორციელების გეოგრაფიული არეალი

პროგრამის განხორციელების გეოგრაფიული არეალია საქართველოს შემდეგი მუნიციპალიტეტები: ქედა, ხულო, ბორჯომი, ახალქალაქი, თეთრიწყარო, ყაზბეგი, ლაგოდეხი და დედოფლისწყარო.

მუხლი 5. თანადაფინანსების მიზნობრიობა და მოცულობა

პროგრამა ითვალისწინებს ენერგოეფექტური და განახლებადი ენერგიის შემდეგი მიმართულებების თანადაფინანსებას:

- ა) თბორიზოლაცია;
- ბ) მზის ენერგიაზე მომუშავე ქარხნულად დამზადებული ვაკუუმური ტიპის წყლის გამაცხელებელი;
- გ) მზის ენერგიაზე მომუშავე მარტივი ტიპის წყლის გამაცხელებელი და მზის ენერგიაზე მომუშავე ჰაერის გამათბობელი.

თანადაფინანსების მოცულობები

- მზის ენერგიაზე მომუშავე მარტივი ტიპის წყლის გამაცხელებელი და მზის ენერგიაზე მომუშავე ჰაერის გამათბობელი - თანადაფინანსების ოდენობა შეადგენს ღირებულების 90%-მდე არაუმეტეს 3,000 ლარისა.
- მზის ენერგიაზე მომუშავე ქარხნულად დამზადებული ვაკუუმური ტიპის წყლის გამაცხელებელი - თანადაფინანსების ოდენობა შეადგენს ღირებულების 80%-მდე არაუმეტეს 5,000 ლარისა.

- შენობის პირველი სართულის თბოიზოლაცია - თანადაფინანსების ოდენობა შეადგენს ღირებულების 70%-მდე არაუმტეტეს 20,000 ლარისა;
- შენობის სრული თბოიზოლაცია - თანადაფინანსების ოდენობა შეადგენს ღირებულების 60%-მდე არაუმტეტეს 25,000 ლარისა.

მუხლი 6. პროგრამის ბენეფიციარის შესაბამისობის კრიტერიუმები

1. უძრავი ქონება (საცხოვრებელი სახლი ან ბიზნესის ობიექტი), სადაც ხორციელდება თანადაფინანსება უნდა იყოს ბენეფიციარის საკუთრებაში.
2. ბენეფიციარი ფიზიკური პირი უნდა იყოს მიზნობრივი მუნიციპალიტეტის მუდმივი მცხოვრები, ხოლო „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრირებული მეწარმე ფიზიკური ან იურიდიული პირი უნდა ოპერირებდეს მიზნობრივ მუნიციპალიტეტში.

მუხლი 7. პროგრამის ბიუჯეტი

1. პროგრამა დაფინანსდება (ევროპის სამეზობლო პროგრამა „სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის (ENPARD)“-ის ფარგლებში) გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით.
2. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 671,449 აშშ დოლარს.

მუხლი 8. ხარჯების მიზნობრიობა.

1. პროგრამა ითვალისწინებს მხოლოდ ძირითადი საშუალების შესყიდვასთან/შექმნასთან დაკავშირებული ხარჯების თანადაფინანსებას. მიზნობრივ ხარჯებად შეიძლება ჩაითვალოს ის ხარჯები, რომელიც ყველა ქვემოთ მითითებულ კრიტერიუმს აკმაყოფილებს:
 - ა) ხარჯი გაწეულია სააგენტოსთან გაფორმებული თანადაფინანსების ხელშეკრულების შემდეგ;
 - ბ) გაწეული და გადახდილია პროგრამის განხორციელების პერიოდში;
 - გ) მიზნობრივი და აუცილებელია პროექტის განსახორციელებლად;
 - დ) შესაბამება ადგილობრივ საგადასახადო კანონმდებლობას.

მუხლი 9. პროგრამის მონიტორინგი

1. პროგრამის დოკუმენტურ მონიტორინგს ახორციელებს სააგენტო მის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად.
2. სააგენტო და გაეროს განვითარების პროგრამა უფლებამოსილია წებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე, განსახორციელოს თანადაფინანსების ხარჯვის მიზნობრიობისა და მწვანე საგრანტო პროგრამის მიმდინარეობის მონიტორინგი, პირადად ან დამოუკიდებელი სპეციალისტის/ექსპერტის/აუდიტორის მეშვეობით, რაც

მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება ბენეფიციარის საქმიანობის ადგილზე შემოწმებითა და დოკუმენტური მონიტორინგით.

მუხლი 10. პროგრამის პროცედურა

პროგრამის ფარგლებში განაცხადის მიღების, განხილვის, თანადაფინანსების დამტკიცებისა და გაცემის დეტალურ პროცედურას შეიმუშავებს სააგენტო, გაეროს განვითარების პროგრამასთან შეთანხმებით.